ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო 18 ნოემბერს გაიხსნება

ალიონი. 18 ნოემბერს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გაღმა დვაბზუს ტერიტორიაზე შპს „ასკანგელ ალიანსის ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო“ გაიხსნება. გავრცელებული ინფორმაციით მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი გახსნის.

შპს „ასკანგელ ალიანსის“ ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელ საწარმოს ასაშენებლად, „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2016 წლის მაისში, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად კომპანიასსოფელ გაღმა დვაბზუში, ყოფილი მე-7 ავტოსაწარმოს (ე.წ. „ჭიხვარიების გარაჟი“) ტერიტორიაზე 30 294 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა–ნაგებობა გადასცეს და მშენებელმა კომპანიამ „A&D STUDIO~-მ უმოკლეს დროში შეძლო ქარხნის მთავარი და დამხმარე კორპუსის მშენებლობა. ამ დროისთვის საწარმოს აღჭურვა და კეთილმოწყობა მიმდინარეობს. ქარხანაში დაიდგა და დამონტაჟდა გერმანული ფირმების „neimanis“, Aplagenbau“ -ს თიხის დამაქუცმაცებელი, თიხის საშრობი, თიხის გამამდიდრებელი, თიხის საფქვავი და სხვა დანადგარები.

–„ჩვენ გამოვუშვებთ საყალიბე თიხას – ეს გამოიყენება სხვადასხვა დარგში, მაგალითად, ძრავის ბლოკის დასამზადებლად სწორედ საყალიბე თიხაა საჭირო. ასევე, ბენტონიტური თიხა გამოიყენება ღვინის ფილტრაციისთვის. ნავთობმოპოვებაში ამ თიხით მყარდება გაბურღული ჭაბურღილის კედლები. ამ ყველაფერზე ჩვენ ეტაპობრივად გადავალთ“– განაცხადა კომპანიის დირექტორმა კახა სიორიძემ მედიასთან საუბარში.

გაზეთ „ალიონს“შპს „ასკანგელ ალიანსის ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმოს“ დირექტორის მოადგილე გია კეჭაყმაძემ უთხრა, რომ საწარმო თვეში არანაკლებ 100 000 ტონა ბენტონიტური თიხის გადამუშავებას უზრუნველყოფს. ამჟამად მანქანა-დანადგარების შემოწმება და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა მიმდინარეობს. საწარმოში დაახლოებით 100-მდე სხვადასხვა სახის პროდუქტი დამზადდება, რომლის უდიდესი ნაწილი ექსპორტზე გავა.“

სოფელ მთისპირში ბენტონიტურ თიხებს 1946 წლიდან მოიპოვებენ. ოზურგეთის მაღაროთა სამმართველო ერთ-ერთი მსხვილი საწარმო იყო რეგიონში. გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებმა თავისი ასახვა ჰპოვა სამთოგადამამუშავებელ მრეწველობაში. 1997 წელს ოზურგეთის მაღაროთა სამმართველო ბერძენ ინვესტორებს მიჰყიდეს...

რამდენიმე წლის წინ შპს „მთისძირი 2010“-მა ვანისქედში ახალი კარიერი გახსნა და დაიწყო თიხის მოპოვება. ახალი ეტაპი ბენტონიტური თიხების მოპოვებისა შპს „ასკანგელ ალიანსის ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმომ” უნდა განახორციელოს, რომლის მთავარი დამფუძნებელი ქართველი ბიზნესმენი ვორა ჩხაიძეა.

ქარხნის ამუშავებისთვის დაახლოებით 10 მლნ-ზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.

საწარმოში თავდაპირველად 200-მდე ადამიანი დასაქმდება. შემდეგ ეტაპზე კი დასაქმებულთა რიცხვი 400-მდე გაიზრდება.

ბენტონიტური თიხის საწყობის მშენებლობა სოფელ მთისპირში მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში სოფელ ცხემლისხიდში (უჩხუბი, ჩუნია) მეორე კარიერიც ამოქმედდება.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №45 (10186), 7 ნოემბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

უმრავლესობის ლიდერი პარლამენტში არჩილ თალაკვაძე იქნება

ალიონი. „ქართული ოცნების“ – უმრავლესობის ლიდერი პარლამენტში არჩილ თალაკვაძე გახდება. ამის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არაოფიციალურად ერთ-ერთი პარლამენტარიც ადასტურებს.“

–ყველაფერი ორ სამ დღეში გაირკვევა, თუმცა დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ საპარლამენტო უმრავლესობას ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი, არჩილ თალაკვაძე უხელმძღვანელებს.

თუ რა თანამდებობას შესთავაზებენ უმრავლესობის ამჟამინდელ ლიდერს – ზვიად კვაჭანტირაძეს, პარლამენტარი სავარუდოდ ერთ-ერთ კომიტეტს ასახელებს.

–ბატონი ზვიადი პარლამენტის ერთ-ერთ კომიტეტს უხელძღვანელებს. იმ კომიტეტს, სადაც იგი უფრო საჭიროა– გვითხრა დეპუტატმა.

„მთავარი ჩემთვის არის იმ ადამიანების იმედები და მოლოდინები, ვისაც საარჩევნო კამპანიის დროს შევხვდი ყველა სოფელში და ქალაქ ოზურგეთში“

ინტერვიუ არჩილ თალაკვაძესთან

– ცოტაც და საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტი თავის პირველ სხდომას გამართავს. რას საქმიანობს პარლამენტის კარების შეღებამდე დარჩენილ მცირე დროში ოზურგეთის მაჟორიტარულ ოლქში პირველივე ტურში გამარჯვებული კანდიდატი, აწ უკვე ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე?

– განვაგრძობ ურთიერთობას მოსახლეობასთან ქალაქსა და სოფლებში. გარდა ამისა, უკვე გავმართე სამუშაო შეხვედრები ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, ასევე რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან ჩვენი რაიონის საჭიროებებთან დაკავშირებით. უკვე განიხილება რამდენიმე ახალი პროექტის დაწყება მეწარმეობის და ბიზნესის განვითარების, ასევე ტურისტული ლოკაციების მოწყობის და კულტურის სფეროებში.

მეორე ტურის მიმდინარეობისას ვიდექი ჩემი მეგობრების გვერდით და მინდა მივულოცო ყველა კოლეგას ბრწყინვალე გამარჯვება.

– 30 ოქტომბერს თქვენმა ამომრჩეველმა და ჟურნალისტებმა ძიმითის საარჩევნო უბანში გიხილათ, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. რა იყო ეს – პარტიული დავალება, თანაპარტიელისა და კოლეგისადმი გამოხატული თანადგომა თუ გარკვეული დროით რიგითი მოქალაქის ამპლუაში ყოფნა?

– პირველ რიგში, ეს იყო ძიმითის და ძიმითელების გვერდით დგომა. არაერთხელ მითქვამს და სიამოვნებით გავიმეორებ, რომ ლანჩხუთსა და ჩოხატაურს ჰყავს ძალიან პოზიტიური, წარმატებული და თანამედროვე ადამიანი მაჟორიტარად, ნინო წილოსანი, რომელმაც არჩევნების ორივე ტურში ძალიან მაღალი შედეგი აჩვენა. მჯერა, ერთად ბევრი საქმის გაკეთებას შევძლებთ და ერთმანეთს დავეხმარებით შემდეგი წლების განმავლობაშიც.

– ქალაქის მერმა 1 ნოემბერს საზოგადოებისათვის ჩაბარებულ ანგარიშში განაცხადა, რომ მალე შესაძლებელი გახდება ოზურგეთში C ჰეტატითით დაავადებულთა მკურნალობა. აღნიშნა, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ თქვენ. ეს მაჟორიტარი დეპუტატის პირველი ნაბიჯია თუ...

- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამამ საქართველოს ორასი ათასამდე მოქალაქეს დაუბრუნა სიცოცხლის შანსი და განკურნების შესაძლებლობა. მკურნალობა რომელიც 80 000 დოლარზე მეტი ღირს, დღეს ჩვენი მოქალაქეებისთვის უფასოა და რამდენიმე ათასი ადამიანი უკვე განიკურნა. ამ პროგრამით, რა თქმა, უნდა ოზურგეთელებიც სარგებლობენ. იმისათვის, რომ მეტი პაციენტი ჩაერთოს და პაციენტებს არ მოუწიოთ კვლევების ჩასატარებლად და მედიკამენტის მისაღებად სხვა ქალაქებში სიარული – განიხილება და მალე გაიხსნება ამ პროგრამის ახალი წერტილი ოზურგეთში. ამაზე ქალაქის მერს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა.

გვ-3

ქირავდება!

ოზურგეთში, ნიკო ნიკოლაძის (ყოფილი სტახანოვის) №2-ში ქირავდება ორსართულიანი შენობა, საწყობით. მოწყობილი ინფრასტრუქტურითა და ყველა საჭირო ინვენტარით. ფართი გამოდგება მაღაზიისა და ოფისისთვის.

საკონტაქტო ტელ: 599 26 78 78

ფასი შეთანხმებით.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საგნობრივად იმსჯელეს

ნუკრი ნიკოლაიშვილი

გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, სადაც განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 7 საკითხი.

სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია.

სხდომაზე საგნობრივად იმსჯელეს „ოზურგეთის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც წარმოადგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა გია მამაკაიშვილმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის პროექტში შესტანი ცვლილება დამსწრეთ გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ეროდი გორდელაძემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დამსწრეთა წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბადრი გობრონიძემ.

მანვე დამსწრეთ გააცნო სოფელ ბახვის და სოფელ გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

სხდომამ ასევე განიხილა დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მაგნეტიტის სანაპირო ზოლში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა გია მამაკაიშვილმა.

სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ სოფელ ასკანაში თუმცა წარმატებით ხორციელდება სოფლის აღმშენებლობისა და კეთილმოწყობის პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსდება, ბევრ მონაკვეთზე ჯერაც ვერ ხერხდება ქუჩის განათების დამონტაჟება. ბევრგან ასევე გადასახედია მოქალაქეებისთვის სოციალური დახმარების საკითხები.

კამათი სიტყვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

იმდღევანდელი საკრებულოს სხდომა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დავით დარჩიამ.

ჩინური მხარე გურიაში ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის წარმომადგენელს ხიონგ ხიანგლონგს და მის თანხმლებს პირებს შეხვდა.

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ჩაის მეურნეობის წარმოებაზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერაზე, ტურიზმის და თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხებზე ისაუბრეს. ასევე, განიხილეს ოზურგეთისა და ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქთან დამეგობრების საკითხიც.

გუბერნატორმა სტუმრებს რეგიონის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა და არსებულ თავისუფალ საინვესტიციო გარემოზე ვრცლად ესაუბრა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარეებმა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციები დათვალიერეს და სოფელ მერიაში ყოფილი აეროდრომის ტერიტორია მოინახულეს.

„ჩინურმა მხარემ ინვესტიციის განხორციელების დიდი სურვილი გამოთქვა და ისინი ინვესტიციის ჩადებას რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით გეგმავენ. დღევანდელ შეხვედრაზე დაისახა გამოცდილების გაზიარებისა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები. ვისაუბრეთ გურიაში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე. დავათვალიერეთ ჩაის პლანტაციები და სოფელ მერიის ყოფილი აეროდრომის ტერიტორია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში ინვესტორების სურვილის შემთხვევაში გაფორმდება მემორანდუმი, ხოლო შემდეგ ეტაპზე შესაძლებელია სოფელ მერიაში სატვირთო გადაზიდვების აეროდრომისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. რაც შეეხება ჩაის წარმოებას, მათ მოითხოვეს 150 ჰა ჩაის პლანტაცია, რომლის რეაბილიტაციასაც პროექტის განხორციელების შემთხვევაში აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლები მოახდენენ", - განაცხადა გია სალუქვაძემ

მილოცვა

ვაკიჯვრის საჯარო სკოლის წარმატებულ პედაგოგს **ხათუნა ჭეიშვილს** ვულოცავთ პირველი სიხარულის, შვილიშვილის პატარა **ვაჩე ფოცხიშვილის** შეძენას.

ვუსურვებთ მედნიერ მავშვობას, ულრუბლოცას და ლამაზ მომავალს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

გენდერული საკითხები მუნიციპალიტეტში - პრობლემები და პერსპექტივები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა საზოგადოებრივი შეხვედრა თემაზე:"გენდერული საკითხები მუნიციპალიტეტში - პრობლემები და პერსპექტივები". ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საჯარო სკოლების პედაგოგებმა, კოლეჯ "ჰორიზონტის" სტუდენტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ლელა ნაცვალაძემ, პროექტების კოორდინატორმა ეკა ნინიძემ, საბჭოს წევრებმა ლალი სიჭინავამ და ნინო ნიკოლაიშვილმა ისაუბრეს საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობასა და მომავალში დაგეგმილ აქტივობებზე. აღნიშნეს, რომ გამოითქვა სრული მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

პედაგოგებმა გამოთქვეს სურვილი მოეწყოს შეხვედრები მშობლებთან ერთად, რათა ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელია სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის მოგვარება.

შეხვედრა ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (**UNDP**)-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „ოზურგეთის ბიბლიოთეკა თანამედროვე გამოწვევათა პირისპირ"-ფარგლებში. პროექტის თანადამფინანსებელია ქალაქ ოზურგეთის მერია.

ღონისძიებას უძღვებოდა პროექტის ფასილიკატორი ინგა დუმბაძე.

ბჟუჟზე გაბიონებისა და მონოლითური რკინა-ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები განახლდა

მდინარე ბჟუჟზე ბაქრაძისა და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ, ფერდის დამჭერი გაბიონებისა და მონოლითური რკინა-ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები განახლდა. სამუშაოები ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან მერაბ წივწივაძესთან ერთად მოინახულა. გარდამავალი პროექტი, რომელსაც „ინშაათ საქართველო“ ახორციელებს, რამდენჯერმე შეფერხდა, რის გამოც ქალაქის მერიამ ხსენებული კომპანია 80 000 ლარით დააჯარიმა.

ახალი საინჟინრო გუნდის ხელმძღვანელის ზურაბ ჩიკვილაძის თქმით, ამინდის შემთხვევაში სამუშაოები ორი კვირის ვადაში დასრულდება.

„აღსანიშნავია, რომ მდინარე ბჟუჟის ამ მონაკვეთზე ნაპირდამცავი გაბიონი არასდროს ყოფილა. წლებია, უამინდობის დროს ადიდებული მდინარე მოსახლეობას პრობლემებს უქმნის. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „ინშაათ საქართველო“ რამდენჯერმე სერიოზული პრობლემები შექმნა, რის გამოც არაერთხელ დავაჯარიმეთ. თუმცა ბოლო პერიოდში კომპანიამ საქმიანობა გამოასწორა. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობას დატბორვის საშიშროება აღარ დაემუქრება.“ - აღნიშნა ბეგლარ სიორიძემ.

„მთავარი ჩემთვის არის იმ ადამიანების იმედები და მოლოდინები, ვისაც საარჩევნო კამპანიის დროს შევხვდი ყველა სოფელში და ქალაქ ოზურგეთში“

— ბატონო არჩილ, საზოგადოების ერთი ნაწილი განსაკუთრებით ოპოზიცია და მისი მხარდამჭერები შიშობენ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებით, მმართველი პარტია მოახდენს ხელისუფლების უზურპაციას და, დემოკრატიის ნაცვლად, მივიღებთ დიქტატურას. ამ საკითხზე თქვენი აზრი დიდად საინტერესოა, რადგან, რამდენადაც ცნობილია, სანამ საქართველოს პარლამენტის წევრი გახდებოდით, მოღვაწეობდით ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ სტრუქტურებში.

— საკონსტიტუციო უმრავლესობა ჩვენთვის არის მეტი პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა სწრაფი განვითარებისთვის. ვიღაცას უნდა ეს საფრთხედ წარმოაჩინოს, თუმცა საზოგადოებას არ დავიწყებია, რომ ახლანდელი კონსტიტუცია ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ გადააკეთა და მოირგო საკუთარ თავზე იმისთვის, რომ ძალაუფლების მონოპოლიზება მოეხდინა. 4 წელია ქვეყანა ამ კონსტიტუციით ცხოვრობს და თუ ჩვენ მისი ბოროტად გამოყენება გვინდოდა - ზუსტად ახლანდელი კონსტიტუცია იძლეოდა ამის საშუალებას — როგორც ხედავთ, 4 წელი ჩვენმა გუნდმა ძალადობის და რეპრესიების გარეშე მართა ქვეყანა. ამიტომ, ახლა ყვირილი, რომ „ქვეყანა საფრთხეშია“ ნაკლებად დამაჯერებელია.

სინამდვილეში, არჩევნებში ასეთი უპირატესობით გამარჯვებამ ჩვენს ოპონენტებს მოუხსნა შესაძლებლობა, რომ ყველა საკითხზე გვევაჭრონ, ხელი შეგვიშალონ საქმის კეთებაში და ქვეყნის ინტერესების დაზიანებით საკუთარი გეგმები შეასრულონ. ეს არის ხალხის არჩევანი და დღეს ქვეყანას ჰყავს სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მედია, დემოკრატიული ინსტიტუტები, აქვს თავისუფალი არჩევნების გამოცდილება და ეს არის მექანიზმები, რომელიც გააკონტროლებს, რომ რაიმეს გამოყენება არ მოხდეს არასათანადოდ.

— რა მისიები დაეკისრებათ ხალხის რჩეულებს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, ეს ალბათ, ცნობილი გახდება პარლამენტის პირველი სხდომის შემდეგ. თქვენი არჩევანი რომ იყოს, პარლამენტის რომელ კომიტეტში ისურვებდით მუშაობას?

— ამჟამად მიმდინარეობს შიდაპარტიული კონსულტაციები იმ ფუნქციებსა და პოზიციებზე, რომელიც მე-9 მოწვევის პარლამენტში ჩვენმა თანაგუნდელებმა უნდა დაიკავონ. 2-3 დღეში გაიმართება პოლიტსაბჭოს სხდომა და ბატონი გიორგი კვირიკაშვილი და ბატონი კახი კალაძე საზოგადოებას გააცნობენ თუ ვინ რა პოზიციაზე იმუშავებს ახალ პარლამენტში. შემიძლია გითხრათ, რომ საჭირო ხალხი იქნება საჭირო ადგილებზე და საზოგადოებას ყველაზე ოპტიმალურ კონფიგურაციას შევთავაზებთ.

ჩემი გამოცდილება მმართველობას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ჯანდაცვას და ახალგაზრდულ პოლიტიკას უკავშირდება - გადაწყვეტილებას ამის შესახებ მალე მივიღებ და გაგაცნობთ აუცილებლად. მთავარი ჩემთვის არის იმ ადამიანების იმედები და მოლოდინები, ვისაც საარჩევნო კამპანიის დროს შევხვდი ყველა სოფელში და ქალაქ ოზურგეთში - გუნდთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, რომ მოსახლეობის არჩევანი გამართლდეს.

— და ბოლოს, თქვენი საყვარელი ფრაზა თუნდაც საკუთარი შემოქმედებიდან.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე - რაა მამული?!

ესაუბრა
თემურ მარშანიშვილი

ანგარიში ქალაქის ოზურგეთის მერიის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

1 ნოემბერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ბეგლარ სიორიძემ კოლეგ „ჰორიზონტის“ სააქტო დარბაზში ოზურგეთის მოსახლეობას წარუდგინა ანგარიში ქალაქის მერიის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც ბეგლარ სიორიძემ აღნიშნა, ქალაქის მერიის საქმიანობის ყველა სფერო მოსახლეობის საჭიროებების მიხედვით განისაზღვრა, შესაბამისად პრიორიტეტებიც საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა. უმთავრეს პრიორიტეტად კი წლეულსაც ინფრასტრუქტურა განისაზღვრა.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში განხორციელდა მასშტაბური და ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტები. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ჭავჭავაძის ქუჩის რეკონსტრუქცია. გაკეთდა გზაგამყოფი, რამაც ქალაქის ყველაზე გადატვირთულ უბანში მოქალაქეთა გადაადგილება უსაფრთხო გახადა. გზაგამყოფზე მოეწყო გამწვანების ზოლი, დამონტაჟდა ლამპიონები და მოწესრიგდა ტროტუარები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტროტუარებს ქუჩის ორივე მხარეს. გზაგამყოფის მოწყობის პროექტის ღირებულებამ 185 720 ლარი, ხოლო ტროტუარების კეთილმოწყობის პროექტის ღირებულებამ 148 000 ლარი შეადგინა.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გადატვირთულმა საავტომობილო მოძრაობამ საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება და განტვირთვის გზების ძიება მოითხოვა. განსაკუთრებით პრობლემური გახლდათ აპოლონ წულაძის ქუჩა, რომელიც უნივერმაღისა და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაა. ქალაქის მერიის ინიციატივითა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, წულაძის ქუჩაზე მდებარე სკვერის მცირე ნაწილი საავტომობილო გზად რეკონსტრუირდა. შედეგად განიტვირთა საავტომობილო მოძრაობა და მნიშვნელოვნად შემცირდა ავტოსაგზაო შემთხვევები. რაც შეეხება სკვერს, იგეგმება ახლო მომავალში მისი განახლება.

ქვეითთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე რისკისშემცველი ზონა, თამარ მეფის მოედანი გახლავთ. აღნიშნულ ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების დაყენებამ მოძრაობა ვერ დაარეგულირა. შესაბამისად, მომზადდა პროექტი, რომელიც დოლიძის ქუჩასა და თამარ მეფის მოედანზე გზაგამყოფის და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობას ითვალისწინებს. ხსენებული პროექტი ავტომობილებისა და ქვეითების გადაადგილებას უსაფრთხოს გახდის. აღნიშნულ გზაგამყოფსა და კუნძულებზე მოეწყობა გამწვანება. პროექტის განხორციელება უკვე მიმდინარეობს, რომლის ღირებულებაც 156 952 ლარს შეადგენს.

2015 წლის აგვისტოში დაიწყო და დასასრულს უახლოვდება ბაქრაძისა და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ, ფერდის დამჭერი გაბიონებისა და მონოლითური რკინაბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოებისა (910 გრძმ ნაპირსამაგრი გაბიონი) და მდ. ბაზრისწყალზე, ორივე მხარეს, ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის სამუშაოები (რომლის ფარგლებში მოეწყობა 1416 გრძმ ბეტონის კედელი). აღნიშნული პროექტების ჯამური ღირებულება შედგენს 1 953 829 ლარს.

დაიწყო მდინარე ბჟუჟზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირდამცავი ჯებირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 2 508 400 ლარს. პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქი სტიქიისგან მოსალოდნელ საფრთხეებს აიცილებს.

ასევე, მალე დაიწყება ივლისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები. კერძოდ: კიტა მეგრელაძის ქუჩის მიმდებარედ, მდ. ნატანებზე ნაპირსამაგრი, 350 გრძივი მეტრი გაბიონის მოწყობა - 497 900 ლარი; ჯორჯიაშვილის ქუჩის მიმდებარედ, მდ. ბჟუჟზე ნაპირდამცავი, 400 გრძივი მეტრი გაბიონის მოწყობა - 479 580 ლარი.

2016 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით რუსთაველის, წუწუნავას, წიტაიშვილის, პუშკინის, მოსკოვის, გაგარინის, აკაკის, გუგუნავას, წულაძის, პეტრიწის, ჟღენტის, სანაპიროს, გაბრიელ ეპისკოპოსის, ფარნავაზ მეფისა და გამსახურდიას ქუჩების რეაბილიტაცია, ასევე სანაპიროს ქუჩაზე გზაგამტარის აღდგენის სამუშაო.ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების ღირებულება შეადგენს 2 495 000 ლარს.

გარდა სრულად რეაბილიტირებული ქუჩებისა, გზა დაიგო ქალაქის იმ უბნებშიც, სადაც ქუჩები რეაბილიტაციას ნაწილობრივ საჭიროებდა. კერძოდ: ღლონტის ქუჩაზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი - 55 320 ლარი; წმგიორგის ქუჩის მეორე შესახვევში - ბეტონის საფარი - 56 290 ლარი; დასასრულს უახლოვდება ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 176 190 ლარს; ასევე, სრულდება გზების ორმული და ხრეშოვანი საფარის შეკეთების სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 81 985 ლარს.

გარდა კონკრეტული უბნებისა, მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს საგზაო ნიშნების დაყენების პროცესი. (45 722 ლარი).

ქალაქში, ასევე, მიმდინარეობს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: გურამიშვილის ქ. 14-ში, ფარნავაზ მეფის ქ. 127-ში და გამსახურდიას ქუჩის 6-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა და გარე ქსელის კანალიზაციის შეკეთების სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 39 735 ლარს; დოლიძის ქ. 7-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე წყალგამტარი ღარების მოწყობა - ჯამური ღირებულება 9 022 ლარი; ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - ჯამური ღირებულება 65 374 ლარი;ჭავჭავაძის ქ. 8 და 10-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - ჯამური ღირებულება 29 497 ლარი; დასასრულს უახლოვდება ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - ჯამური ღირებულება 7 483 ლარი; სრულდება შემოქმედელის ქუჩაზე მინი-სტადიონისა და სკვერის მოწყობა - ჯამური ღირებულება 22 416 ლარი;

2016 წლის სექტემბერში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 სექტემბრის 1998 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 200 000 ლარი. აღნიშნული თანხით ქალაქის მერია 34 საცხოვრებელ სახლს გადახურავს და მოქალაქეებს სტიქიის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს მოუგვარებს. სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

ასევე, დაგეგმილია სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიც: 19 ოქტომბერს გაფორმდა საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, რომელიც აღმაშენებლის, ნიკოლაძის, კოსტავას და გურიის ქუჩებზე ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. პროექტი, რომლის საბაზისო ღირებულება 1 802 452 ლარს შეადგენს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდება.

მნიშვნელოვანი პროექტია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, რომელსაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს. პროექტის ღირებულება შეადგენს 1 490 898 ლარს.

საკუთარი ბიუჯეტით განსაზღვრულია ქალაქის ტერიტორიაზე კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ: მოსაცდელების მოწყობა (თაყაიშვილის, წულაძისა და კოსტავას ქუჩები) - ჯამური ღირებულება 52 726 ლარი; კულტურისა და დასვენების პარკში ატრაქციონის აღდგენა - ჯამური ღირებულება 40 738 ლარი; ჭავჭავაძის ქუჩისა და ჭადრების პარკისთვის სკამების შეძენა - ჯამური ღირებულება 10 000 ლარი; ქოზურგეთის ტერიტორიაზე სანაგვე ურნების მოწყობა - ჯამური ღირებულება 14 881 ლარი; ასევე, ნიკოლაძის ქ. 52-ში მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უკანა ფასადზე ლოჯის ამოშენებისა და ნიკოლაძის ქ. 54-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასავლეთ ფასადის მოპირკეთების სამუშაოები -12 524 ლარი.

ტრანსპორტის რეგულირების სფეროში, სატრანსპორტო საშუალებების და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მოეწყო საგზაო ნიშნები, სიჩქარის შემფერხებლები და მონიშვნები.

მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე, შემოწმდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და მრავალბინიან კორპუსებში არსებული მდგომარეობა, რის საფუძველზეც შედგა მონაცემთა ბაზა და დაიგეგმა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენის თაობაზე ეთხოვა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან ქალაქის მერიას გადმოეცა 566 ერთეული სასოფლო-სამეურნეო „ხვნის ბარათი“ საერთო ფართობით 244,4 ჰა. რამაც 535 ოჯახს საშუალება მისცა, უფასოდ დაემუშავებინა მათ საკუთრებაში არსებული ნაკვეთები და მიეღო ერთწლიანი კულტურებისთვის საჭირო შხამ-ქიმიკატები.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო პროექტში, რისი საშუალებითაც მოქალაქეებისთვის მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, იდენტობის დადგენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება უფასო და ხელმისაწვდომი გახდა.

ქალაქის მერმა თავის გამოსვლაში ვრცლად ისაუბრა სოციალურ, ჯანდაცვის სოციალური, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურების, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების, საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის, იურიდიული, აუდიტის სამსახურების მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობების შესახებ, ასევე ქალაქის ბიუჯეტის შესახებ.

სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის ფორმატი საშუალებას არ იძლევა ბოლომდე გავშალოთ ეს თემები.

ქალაქის მერმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ცენტრალურ ხელისუფლებას, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ქალაქის განვითარებაში გაწეული მაქსიმალური მხარდაჭერისათვის; ქალაქის მერიის საქმიანობაში მხარდაჭერისა და გულშემატკივრობისათვის - პარლამენტის ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს, ახალ დეპუტატ არჩილ თალაკვაძეს, ვისთან თანამშრომლობითაც უკვე გადაწყდა, რომ C ჰეპატიტის მკურნალობა შესაძლებელი გახდება ოზურგეთში; მუდმივი მხარდაჭერისა და გვერდით დგომისათვის - გურიის გუბერნატორს გია სალუქვაძეს, წარმატებული პროექტების თანაავტორობისათვის - ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარეს გელა კობალაძეს, მთლიანად საკრებულოს, თითოეულ დეპუტატს; წლის მანძილზე კოორდინირებული თანამშრომლობისათვის - მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ ჭანუყვაძეს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას; მთელი წლის მანძილზე, თავდაუზოგავი შრომისთვის - ქალაქის ვიცე-მერს ალეკო ბურჭულაძეს, მერის მოადგილეს კობა დუნდუას და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თითოეულ თანამშრომელს.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში სრულყოფილად შეგიძლიათ იხილთ ჩვენი გაზეთის ვებგვერდზე **„alion.ge“**

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ურეკი	26.28.13.254	30,0	300	150,00	50,00	3000,0
2	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ურეკი	26.28.13.255	70,0	700	350,00	50,00	7000,0
3	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ურეკი	26.28.12.682	40,0	400	200,00	50,00	4000,0
4	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ურეკი	26.28.12.681	34,0	340	170,00	50,00	3400,0

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გარე სავარგულები	26.36.01.049	2 170	86,80	43,40	50,00	868,00
2	სასოფლო-სამეურნეო მიწა	გარე სავარგულები	26.36.01.050	624	24,96	12,48	50,00	249,60
3	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ოზურგეთი	26.12.16.136	3 968	154,76	77,38	50,00	1547,60
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. თხიწვალი	26.04.12.081	2 500	100,00	50,00	50,00	1000,00
5	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. შრომა	26.02.10.096	9 300	279,00	139,50	50,00	2790,00
6	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. გურიანთა	26.06.24.201	2 884	115,36	57,68	50,00	1153,60
7	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ბაილეთი	26.07.15.062	10 000	400,00	200,00	50,00	4000,00
8	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. შრომა	26.34.01.277	5 650	169,50	84,75	50,00	1695,00
9	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ოზურგეთი	26.12.16.128	20 276	811,04	405,52	50,00	8110,40

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ფართი

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	საცხოვრებელი ფართი, ბინა №1	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.001	44,63	89,26	44,63	50,00	892,60
2	საცხოვრებელი ფართი, ბინა №2	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.002	54,99	109,98	54,99	50,00	1099,80
3	საცხოვრებელი ფართი, ბინა №3	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.003	65,74	131,48	65,74	50,00	1314,80
4	საცხოვრებელი ფართი, ბინა №4	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.004	44,63	89,26	44,63	50,00	892,60
5	საცხოვრებელი ფართი, ბინა №5	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.005	54,99	109,98	54,99	50,00	1099,80
6	საცხოვრებელი ფართი, ბინა №6	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.006	65,74	131,48	65,74	50,00	1314,80
7	საცხოვრებელი ფართი, ბინა №7	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.007	64,56	129,12	64,56	50,00	1291,20
8	საცხოვრებელი ფართი, ბინა №8	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.008	99,49	198,98	99,49	50,00	1989,80
9	საცხოვრებელი ფართი, ბინა №9	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.009	64,56	129,12	64,56	50,00	1291,20
10	საცხოვრებელი ფართი, ბინა №10	სოფ. წატაწები	26.01.72.010.01.010	99,49	198,98	99,49	50,00	1989,80

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

"თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს პირობიან აუქციონს (ამორტიზებული შენობის ნაწილის დემონტაჟი)"

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სპორტდარბაზი (შენობის - სულ 864 კვმ-დან ნაწილის - 700 კვმ დემონტაჟი)	დაბა ლაითური	26.25.12.004	700,00	100,00	50,00	50,00	1 000,00

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

საუქციონო პირობები

ა. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;

ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 3 თვის ვადაში - ობიექტის დემონტაჟი და ობიექტზე მიმაგრებული ტერიტორიის მოწესრიგება-გასუფთავება (დემონტაჟის შედეგად დარჩენილი საამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა)

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;

ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა)

ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.*

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.

"მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;

„ბე“-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე:

- არასაცხოვრებელი შენობა 300903313; - საცხოვრებელი შენობა 300903306;

- არასასოფლო მიწა 300903390; - სასოფლო-სამეურნეო მიწა 300903394.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივ-მოქმედი საუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

"აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2016 წლის 7 ნოემბრიდან 6 დეკემბრის 12 სთ-მდე;"

აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 6 დეკემბერს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში; "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი საუქციონო კომისია“

ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."

მსოფლიოს ვერ ხედავდა, მაგრამ მსოფლიო განცდა ნამდვილად ჰქონდა

27 სექტემბერს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში მხატვარ დავით შალიკაშვილის პერსონალური გამოფენის პროლოგი იმდენად ემოციური აღმოჩნდა, რომ ამ ხელოვანზე ტელეკომპანია „გურიაში“ წლების წინ მომზადებული სიუჟეტის ჩვენებისას, ერთ-ერთი ქალბატონი აქვითინდა და საგამოფენო დარბაზიდან სახეზე ცხვირსახოცაფარებული გავარდა, მხატვრის გამაოგნებლად ფილოსოფიურ სინქრონში ბოლომდე ჩაძირული მსმენელი კი გონს მხოლოდ ღონისძიების წამყვანის, ხელოვნებამცოდნე ლია ურუშაძის რეპლიკის შემდეგ მოეგო და მიხვდა, საწუთროდან ნაადრევად წასული სიუჟეტის გმირი უბრალო ტაშს კი არა, ხანგრძლივ და მხურვალე აპლოდისმენტებს იმსახურებდა.

ოზურგეთის სურათების გალერეას, დღიდან დაარსებისა, მარგი ქმედების კოეფიციენტი ყოველთვის მაღალი ჰქონდა, ამ გამოფენის მოწყობით კი, სახვითი ხელოვნებისა და ხელოვანთა თანამედროვე საბუდარს მადლიერმა საზოგადოებამ ფრიადი დაუწერა. სწორედ გალერეის ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა ძალისხმევით, ამ დღეს გალერეაში დავით შალიკაშვილის 90-მდე „ტილოზე ჩადენილი დანაშაული“ სუნთქავდა, თვით ნატურმონტსაც კი სული ედგა, მისი შემქმნელის ბობოქარი სული.

დავით შალიკაშვილი მსოფლიო განცდის მხატვარი იყო. ამას თვითონვე ამბობს ზემოხსენებულ სიუჟეტში („მსოფლიოს ვერ ვხედავ, მაგრამ მსოფლიო განცდა შეიძლება მქონდეს“) და ამტკიცებს მისი გასაოცარი შემოქმედებით.

გამოფენაზე მოსულ საზოგადოებას ამ დღეს (და არა მხოლოდ ამ დღეს) დავით შალიკაშვილი ეტკინა, ეს საზოგადოება ამ დღეს დავით შალიკაშვილით ამაყობდა და დარწმუნებული ვარ, ამ საზოგადოების მომავალ თაობებსაც გაუნელებლად გაჰყვებათ ეს ტკივილი და სიამაყე.

ხელოვნების მოყვარულთ აქ არანაკლები სიურპრიზი მოუწყო დავით შალიკაშვილის შვილმა, გიორგიმ, რომელმაც, სპეციალური ალბომის შექმნით, ფაქტობრივად ძეგლი აუგო ხელოვან მამას, სამარადისო გახადა მისი ხსოვნა. მე არ ვიცი, რა ტირაჟით დაიბეჭდა ეს ალბომი, მაგრამ ვიცი, რომ ვისაც არ ერგო, მას ბევრი დააკლდა. ამ ალბომის გარეშე ის ბოლომდე ვერ გაიცნობს დავით შალიკაშვილს, თუნდაც კარგად იცნობდეს ამ მხატვრის შემოქმედებას.

შალიკაშვილის პიროვნება და ხელოვანი რომ შეიცნო, აუცილებელია, ეს ალბომი ნახო და წაიკითხო. ამ ალბომიდან გაიგებთ, როგორ ცნო იგი საბჭოთა სახელმწიფომ გიჟად; რუსმა ოფიცერმა, საკანში მყოფს, არაფრის გამო, როგორ ესროლა ტყვია, გაუსაძლისი ტკივილებით რამდენიმე დღე როგორ ამყოფეს ტყვიით ფეხში, როგორ განახორციელა მან აქ მხატვრის პირველი ინციდენტი, როცა კარცერის კედლებზე საკუთარი სისხლით დახატა ექსპრესიული ფიგურები, რომლის დანახვაზე „ნაჩალნიკს“ გული წასვლია...

ამ ალბომში გაეცნობით დავით შალიკაშვილის ფილოსოფიურ ტილოს „ანგელოზების ჩამოსვლა“ (დაკარგულ ნამუშევარს), რომელსაც მისმა მეგობარმა მხატვრებმა „ქართული გერნიკა“ შეარქვეს. როგორც გიორგი შალიკაშვილი წერს, „ეს ნამუშევარი წინაწარმეტყველური აღმოჩნდა, აქ თამაშდება ის მოსალოდნელი ტრაგედია, რაც შემდეგში გადახდა ქართველ ერს. ეს არის სხვა რეალობასთან შეხებით გაკეთებული ექსპრესიული ნამუშევარი, სადაც უკანა პლანზე მდინარის ადგილას სითეთრე, სიცარიელე იღვრება. სიცარიელე, როგორც ამაღელვებელი გაუგებრობა, როგორც მოძრაობისა და დროის ქვესისტემა. წინა პლანზე რაღაც ხდება, რაც უსასრულო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ხოლო ხდომილების უკანა პლანზე ნიშნები გამქრალია. იქ, სადაც წყალი უნდა იყოს, წყლის ფენომენს მისი სიცარიელე ანაცვლებს, ეს დროის მეტაფორის გაქრობაა, იქ მისვლაა, სადაც ჯერ არ მოდიოდა წყალი და მხოლოდ სიცარიელე იყო, საიდანაც შეიძლება მართლაც ჩამოდიან (ამოდიან) ანგელოზები, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ...

ანგელოზი ღვთისმეტყველებაში უსხეულო არსებად მოიაზრება. მაშინ, როცა სხეულები ერთმანეთს უნდა დარეოდნენ და დაღვრილიყო სისხლი, მხატვარს უნდება „ჩამოიყვანოს“ უსხეულო არსებები. ისინი თითქოს მხსნელად უნდა მოევლინონ ადამიანებს. აქ არის წინასწარმეტყველური სურვილი. ის გრძნობდა აუცილებლობას, რომ გამოცარიელება უნდა მოხდეს, უნდა მოხდეს განწმენდა, რომ ძალიან დამძიმდა სხეულების უგუნურებისგან სამყარო. „ანგელოზების ჩამოსვლა“ განწმენდისა და კათარზისის სულიერი მოთხოვნილებიდან შეიქმნა“.

კიდევ ერთი სახასიათო ფრაგმენტი ამ ალბომიდან:

„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დავითს მიეცა შესაძლებლობა ესწავლა სამხატვრო აკადემიაში, მანამდე, ჯარში წაუსვლელობის გამო, უფლება არ ჰქონდა, ესწავლა.

ამ პერიოდშიც და მანამდეც ის აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში და ახლო მეგობრობა აკავშირებდა მაშინდელ ანგერგრაუნდის მხატვრებთან. სამოქალაქო ომი, სიდუხჭირე, უკიდურესი დაძაბულობა, ეს ყველაფერი მან თავის თავზე გადაიტანა.

ერთგან წერს: „ნიჭი ძეგლია, ბედი — კვარცხლბეკი. მე კვარცხლბეკი მჭირდება, რომელზეც ჩემი ნიჭი უნდა დავაშენო. ეს არის ჩემი პრობლემა ხელოვნების სფეროში“. პრობლემა პრობლემად დარჩა... იგი სულით ანდერგრაუნდის მხატვარი და ავანგარდისტი იყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე! მას არასოდეს გაუყიდია სული ადგილის გამო, ის ვერ დაიდგამდა კვერცხლბეკს იქ, სადაც მისი ადგილი არ იყო. დიახ! ნამდვილად არ იყო მისი ადგილი მყუდრო სახელოსნოებში, პრიალა ალბომებში, სალონებში და იმ კულტურაში, სადაც „ანდერგრაუნდის მხატვრები და ტრანსავანგარდიტები“ ბოლოს იქ გამოჩნდებიან, სადაც ყოფნასაც ებრძოდნენ. ის არასდროს ყოფილა კომერციული მხატვარი, ის არ წასულა კომპრომისზე ხელოვნების წინააღმდეგ!

დავით შალიკაშვილს არასოდეს შეშინებია ცხოვრების, არასოდეს უწუწუნია თავისი ბედია გამო. მისი პიროვნული სიძლიერე იყო რწმენაში, რწმენაში, სადაც სხეული და სული ერთმანეთს ემთხვევა, სადაც იდეას ეწირება ყველაფერი. ის ცხოვრობდა განმანათლებლობის, თავისუფლების და სიყვარული იდეით“.

ეს მეტიც კია!!!

ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში დავით შალიკაშვილის პერსონალური გამოფენის გამო

გალერეაში, უბრალოდ, ჩემთვის ვწერ „პეტიციას“:
— შალიკაშვილი სიკვდილთან გადის რეპეტიციას...
როგორ ვთქვა, მაგრამ ნალდ ხელოვანთა ეს ბედიც კია...

— შედევრიაო?! — უკაცრავად, ეს მეტიც კია!

ფიქრობს დავითი, უსასრულო მირაჟებს გასცქერს,
იცის: მხატვარმა — რას ხატავს, პოეტმა — რას წერს.

ასე მგონია, ახლა ურდულზე აუკრავს კარს ცერს
საკუთარ სისხლის ლეკერტებით მოხატულ კარცერს...

„სახე წყვდიადში“ რომ მოჩანდა იდუმალია,
დავაკვირდი და სხვად გადაქცევის რიტუალია,
სხეულისა და სულის ნამდვილი ვიზუალია,
ტრაგიკულ პორტრეტს ტრაგიკული გზით უარია...

ლურჯი ჩიტები არად აგდებენ ჩემს „პეტიციას“,
შალიკაშვილის შესვიან რეპეტიციას...
როგორ ვთქვა, მაგრამ დიდ ხელოვანთა ეს ბედიც კია...

— შედევრიაო! — აღიარეს, ეს მეტიც კია!!!

თემურ მარშანიშვილი
28.10.16

მადლობა BILLI DENTAL-ს

ყველასათვის ნათელია, თუ რა დისკომფორტს უქმნის ადამიანებს პრობლემური კბილები. მეც არ დავრჩი გამონაკლისი და ჩემი ახლო მეზობლის ავთანდილ ნარინდოშვილის რჩევით, მასთან ერთად, მე და ჩემი მეუღლეც მოვხვდით სტომატოლოგიურ კლინიკა „ **BILLI DENTAL** -ში“.

ძნელია სიტყვებით იმის გადმოცემა, რა სითბო იგრძნობა კლინიკის თანამშრომლებისაგან იქ მისული პაციენტებისადმი. სამწუხაროდ, ბოლო წლებში თითქოს შენელდა გულისხმიერება ადამიანთა შორის, მაგრამ ამ კლინიკაში დაგიბრუნდებათ რწმენა და იგრძნობთ, რომ, საბედნიეროდ, კიდევ მრავლადაა შემორჩენილი კეთილი, გულისხმიერი ადამიანები.

სასიხარულოა, რომ კლინიკის მომსახურე პერსონალი ახალგაზრდულია:

— ილო გოლიაძე, კლინიკის მმართველი (მენეჯერი) — შეხვედრის პირველივე წუთიდან იგრძნობთ მის კეთილკაცობას, ამასთან ერთად, გაწონასწორებულ ხასიათსა და დამოკიდებულებას საქმისადმი;

— ვასილ ბოლიაკი, კლინიკის მეპატრონე (დირექტორი) — უსაყვარლესი ადამიანი, ბრწყინვალე სპეციალისტი სტომატოლოგიურ და საპროთეზო დარგში. სულ ორიოდე წელია, რაც უცხოეთიდან (საბერძნეთი) დაბრუნდა, სადაც 11 წლის მანძილზე იღრმავებდა ცოდნას და გამოცდილებას სტომატოლოგიურ დარგში:

— მაკა დუმბაძე, ექიმი სტომატოლოგი — უბადლო სპეციალისტი, ახალგაზრდა დედა, შვილივით საყვარელი, გულისმიერი და კეთილი გოგონა;

— და ბოლოს, **ლევანი** და **ენვერი**, ყმაწვილები რომლებიც ამ კლინიკაში ითვისებენ და ეუფლებიან სტომატოლოგიურ ტექნიკას. გამოირჩევიან ზრდილობითა და თავაზიანობით, სხვაგვარ მაგალითს ვერც აიღებდნენ ამ გარემოდან, რომელსაც **BILLI DENTAL** -ი ჰქვია.

უფალმა გვიმრავლოს ასეთი კეთილი, გულისხმიერი და საყვარელი ადამიანები ჩვენს ქვეყანაში.

მადლობა მათ!

ომარ პოსტავა,
სოფელი კონჭკათი.

მოსწავლემ გვასახელა

სკოლისა და მასწავლებლის შრომის შედეგი მოსწავლის წარმატებაა. მერიის საჯარო სკოლის ღირსეულ აღზრდილებს კიდევ ერთი ერთი სახელი შეემატა — ცისია მოისწრაფეშვილი, ამჟამად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის გრანტირებული სტუდენტი.

მისი ეს წარმატება უსაზღვო შრომისმოყვარეობისა და მიზანსწრაფულობის შედეგია. მიზნის მისაღწევად, როგორც იტყვიან, დღეღამეს ასწორებდა. შედეგმაც არ დააყოვნა.

ცისია პედაგოგების ოჯახში აღიზარდა. ბაბუა, ბატონი ჭოლა მოისწრაფეშვილი სახელგანთქმული კონსტრუქტორი, ავიამოდელისტი იყო; ბებია, ქალბატონი ციური ქავჟარაძე წლების განმავლობაში - სკოლის დირექტორი, ამჟამად ამავე სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის პედაგოგია.. ცისიას დედა კი მუსიკოსია.

ცისიას წარმატებამ უდიდესი სიხარული მოჰგვარა მერიის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და განსაკუთრებით ამ წერილის ავტორს, როგორც საგნის მასწავლებელს. მისმა აღიარებამ მეც წარმატებული მასწავლებლის სიგელი მომაპოვებინა.

სწორედ ასეთ ახალგაზრდებს მიესადაგება გალაკტიონის სიტყვები: „ახალგაზრდობა იმედი ხვალის და პირველი სიმდიდრე ერის“.

გვემრავლოს!!!

ზირა ბაქანიძე,
მერიის საჯარო
სკოლის მასწავლებელი.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

მიხეილ სალაძის ტურნირზე

21-23 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან მესამე ადგილი დაიკავეს: 38კგ წონით კატეგორიაში **გოჩა ირემაძემ** (მწვრ. გურამ მაჭარაშვილი) და 100კგ წ.კ. **იური არაშიძემ** (მწვრ. კახაბერ აბაშიძე).

ვ. ადეიშვილის ტურნირზე

25-26 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ ადეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც წარმატებით გამოვიდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის მოჭიდავეთა ნაკრები

გუნდი. ჩემპიონები გახდნენ: 50 კგ წონით კატეგორიაში **შოთა ღლონტი,** (მწვრ. გურამ მაჭარაშვილი), 66კგ წ.კ.-ში **გიორგი გუჯაბიძე** (მწვრ ვლადიმერ და ირაკლი ზურაბიანები), მეორე ადგილი დაიკავა: 96კგ წ.კ.-ში **კახა კალანდაძე** (მწვრ. კახა აბაშიძე). მესამე ადგილზე გავიდნენ: 55კგ წ.კ.-ში **ნიკა აბულაძე** და 60კგ **ტრისტან ქინქლაძე**. (მწვრ. გ. მაჭარაშვილი) და 66კგ წ.კ. **დავით ბაკურაძე** (მწვრ. ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები).

მწვრთნელები და გუნდი დიდ მადლობას უხდის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს ბატონ გოჩა კვანტალიანს

უდიდესი მხარდაჭერისათვის.

კრივი

ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე

20-23 ოქტომბერს მესტიაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში სხვადასხვა ასაკში.

აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან, 2003 წლებში დაბადებულთა შორის, 38 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ოთარ აბესაძე**.; მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს: 2002 წლებში დაბადებულთა შორის 40კგ წ.კ. **რომა აბესაძემ**, 2000 წ.დ.შ. 44კგ წ.კ. **გიორგი ცქვიტინიძემ**. (მწვრთნელი იულო საჯაია).

განცხადებები

იყიდება სასწრაფოდ ანასეულში ორსართულიანი კაპიტალური სახლი (გადაუხურავი), 1000 კვადრატულ მეტრამდე ეზოთი. გაშენებულია ციტრუსის ბაღი. ფასი 6500 დოლარი დაგვიკავშირდით: 599 58 75 32.

* * *

იყიდება ბინა გრიბოედოვის ქუჩა№12-ში, I სართული, 90 კვ მეტრი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის და საოფისედ. აქვს ბუნებრივი აირი, დამონტაჟებულია „არისტონი“.

ტელ. 599 58 75 32

სკანვორდი



№ 44-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მიხეილ ცაგარელი; ჭიდან წყლის ამოსაღები — ოწინარი; ფოლაქი — ღილი; ნარკოტიკი — მორფინი; ვაგონი — რონოდა; ინგლისის დედაქალაქი — ლონდონი; საგენტო — ოფრინდა; მდინარე, რომელიც თბილისის ზღვაში ჩაედინება — იორი; სქელი კანი — ქერქი; ხის წნული ჭურჭელი — გოდორი; ქალაქი უკრაინაში — დონეცკი; დასარტყამი ინსტრუმენტი — დოლი; თოვლის ფანტელი — ფიფქი; ღვინის საწყაული — ჩაფი; პატარა საწნახელი — ორე; უბანი თბილისში — ისანი; ერთგვარი ნამცხვარი — რულეტი; ასი კილოგრამი — ცენტნერი; ნაკადული — რუ; იტალიელი მომღერალი ქალი — კარა; ცურვის სტილი — ბრასი; „ბარსას“ ვარსკვლავი — მესი; სოლო ოპერაში — არია; ბრტყელი თევზი — კამბალა; რაც მუხას ესვა — მუმელი; სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში — ხეთა; ფანჯრის ჩარჩოს ქვედა ნაწილი — რაფა; თეატრის შემოქმედებითი გუნდი — დასი; მნათობი — მზე; ბილიარდის ჯოხი — კი; მიწისქვეშა ტრანსპორტი — მეტროპოლიტენი; კავშირი — და; წყლის საველე ჭურჭელი — მათარა; სოფელი ქართლში — შინდისი; რუკების კრებული — ატლასი; შენ მეგრულად — სი; ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა — ლაზარე; გაზაფხულის ყვავილი — ია;

შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე, ოზურგეთის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

დასასრული. დასაწყისი იხილეთ №31-33,36-39, 41-44. 2016 წ.

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



რეფორმამდელი პერიოდის ბოლო მონაკვეთისათვის ოზურგეთის მაზრის ხელოსანთა რიცხვი 975-ს აღემატება. აქედან მარტო ქალაქში 200-ზე მეტი ხელოსანი ცხოვრობდა. მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის საერთო ღირებულება 6330 მანეთს აღწევდა.

ორმოცდაათი წლების მიწურვილს ოზურგეთში მკვიდრდება ქარხნული წარმოების წესით პროდუქციის წარმოება. შენდება აგურის ქარხანა.

1847 წლის მონაცემების მიხედვით ოზურგეთში იყო აგურის ერთი, აგურის და თიხის ჭურჭლის 2 საწარმო. აგურის ქარხანა უშვებდა 200, თიხის ჭურჭლისა – 550 მანეთის პროდუქციას.

1855 წლის მონაცემების მიხედვით ოზურგეთში აგურის ქარხანთა რიცხვი სამ ერთეულამდე გაზრდილა. სამთავე ქარხანა უშვებდა 640 მანეთის პროდუქციას და აშენებდა 20000 ცალ აგურს.

ვითარდება არაყის წარმოება. გასული საუკუნის 60-იან წლებში ოზურგეთიდან ქუთაისში წასულა საცხოვრებლად პუზირევსკის მკვლელის – ითამ ბოლქვაძის შთამომავალი ვინმე გიორგი ბოლქვაძე, რომელმაც ამ ქალაქში სათავე დაუდო არაყის სახდელ ქარხანას.

ბოლქვაძის მიერ ფუძედებულ არაყის ქარხანაში 30-მდე დაქირავებული მუშა და ოსტატი ეწეოდა თავისთა საქმისთვის. ქარხნის შემოსავალმა 1864 წელს 30000 მანეთს მიაღწია. ქარხნის მეპატრონემ მალალ დონეზე აიყვანა თავისი საწარმოს ტექნიკური პროცესი. იგი ღრმად დაუფლა არაყის გამოხდისა და გასუფთავების რთულ ტექნიკას.

გიორგი ბოლქვაძე ცნობილი გახდა არა მარტო მოლის ამერკანსკასაში და რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიაში, არამედ საზღვარგარეთის წრეებშიც. მას აურაცხელი ამანათი მოსდიოდა ნიუ-იორკიდან, ჩიკაგოდან, ლონდონიდან, პარიზიდან, ბერლინიდან, ნიცადან... თვით გიორგი ბოლქვაძე ხშირი სტუმარი ყოფილა კონსტანტინოპოლის, ევროპისა და რუსეთის სავაჭრო ბირჟებისა.

მსგავსად გიორგი ბოლქვაძისა, საკუთრივ ოზურგეთში 1858 წელს ვაჭარმა მჭედლიშვილმა დაარსა არაყის სახდელი საწარმო. იგი წელიწადში 1300-მდე ლიტრ არაყს აწარმოებდა.

1855 წლისათვის ოზურგეთში დარსებულ იქნა სმაენერო საწარმოები, იმხანად მათი რიცხვი 3 ათეულით განისაზღვრებოდა.

ქალაქის საქონელბრუნვაში შემოტანილი ჭარბობდა გატანილს. იმპორტისა და ექსპორტის განსაზღვრა ასეთი სურათის მაჩვენებელია:

1843 წელს შემოტანილ იქნა – 111 142 მანეთის საქონელი. ამავე წელს გატანილი იქნა – 2914 მანეთის საქონელი. 1845 წელს შემოვდა 120006 მანეთის საქონელი. 1852 წელს შემოვიდა 313633 მანეთის საქონელი. შესაბამის წლებში გატანილ იქნა: (1845 წ.) 7538, (1852 წელს) 2532 მანეთის საქონელი.

შემოტანილი და გატანილი საქონელი განსაზღვრავდა ქალაქის სავაჭრო შემოსავალს. 1843 წელს იგი აღწევდა 5668 მანეთს. 1846 წელს 6154 მანეთს.

აღებულ ხანაში, როგორც საკუთრივ ქალაქ ოზურგეთში, ასევე მის სოფლებში მკვეთრ აღმავლობას განიცდის სფეიერო ნაწარმის დამზადება. აღებ-მიცემობის ფერხულში ჩაბმულია ყველა სოციალური ფენა. დაწყებული ყმა გლეხითა და დამთავრებული თავადით. ცალკეული სოფლები თუ დაბები ტოლს არ უდებდნენ მზარის დედაქალაქს.

განსაკუთრებით აქტიურობდა ნაგომარი. ერისთავებმა, მაჭუტაძეებმა და გუგუნავებმა აქ რამდენიმე დუქანი აგეს. ვაჭრობას ამ დუქნებში საკუთარი საქონლით აწამებდნენ. ნაგომრობის ბაზრობაზე დიდი რაოდენობით მოდიოდა ხალხი მახლობელი სოფლებიდან.

მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა სიარმარკო ვაჭრობამ. ოზურგეთში სიარმარკო დღესასწაული ყოველი წლის 17 ივლისიდან იმართებოდა. მზარეში სულ 8 იარმარკა იყო. მათმა საერო ბრუნვამ 1844-45 წლებში 20000 მანეთი შეადგინა ვერცხლით.

იარმარკების გარეშე, მარტო ოზურგეთის წლიური საერო ბრუნვა 50-იან წლებში, 30000 მანეთამდე აღწევდა. ოზურგეთში ყოველდღიური ვაჭრობის საგნებს წარმოადგენდა:

შაქარი, ყავა, თამბაქო, ჩაი, სხვადასხვა მაგარი სასმელი, პური და პურეულის ნაწარმი, ერბო, პრეშუმის ქსოვილები, სპონი, სიმინდი, ფქვილი, დაუმუშავებელი ტყავი, ხის და მინის ჭურჭელი... სმენო ვაჭრობაში ადგილს იკავებს არა წმინდა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი, ადგილობრივი სამრეწველო ნაკეთობანი, პირველი მოხმარების საგნები, რომლებიც საქალაქო ყოფიერების აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია.

ქალაქის შემოსავალი ამ დროისათვის განისაზღვრებოდა 948 მანეთით. გასავალი – 1128 მანეთით.

ათი წლის შემდგომ 50-იანი წლების დასასრულს ეს შემოსავალი ერთიორად გაზრდილი ჩანს. იგი შემოსავლის სახით შადგენს 3330 მანეთს.

იზრდებოდა ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა.

1830 წლისათვის ოზურგეთის მოსახლეობა შეადგენდა 300 სულს. 1842 წელს – 844 სულს. 1853 წელს – 1250 სულს. 1865 წელს – 2889 სულს. აქედან მამაკაცი იყო: 1958 სული. დედაკაცი – 331 სული.

60-იანი წლების დასაწყისისათვის ოზურგეთის მოსახლეობა 4000 სულს შეადგენდა. მათ შორის 500 კაცი სამხედრო მოსამსახურე იყო.

მთავრის ხელისუფლების ნაცვლად ამ დროისათვის ვარდანისძე გურიელთა სამკვიდრო ქალაქში – ოზურგეთის ქალის ნაცვლად „ოზურგეთის მაზრაში“ ხელისუფლების უმაღლეს რანგში მაზრის უფროსებად გვევლინებიან:

1842 წელი – „კოლეგსკი არესონ“ ივნოვი.

1847 წელი – პოლკოვნიკი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი.

1848 წელი – გვარდიის ოფიცერი და კავალერი რევაზ ივნეს ძე ანდრონიკაშვილი.

1850 წელი – „კოლეგსკი არესონ“ საფარელიძე.

1851 წელი – სპირიდონ სიმონის ძე მაჭავარიანი,

1849 წელი – ლევან ნიკოლოზის ძე ქორისიანი.

1854 წელი – ნიკოლოზ სიმონის ძე არაშიძე.

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

ბადრი რუსიეშვილი



დრო ყველაფერის მკურნალიაო უთქვამთ, მაგრამ საეჭვოა ოდესმე განიკურნოს ის იარა , რომელიც ბადრის იმ ქვეყნად უდროოდ წასვლის გამო აქვთ მის უახლოესებს: დედას, მეუღლეს, შვილებს, და, შვილიშვილებს, სანათესაოს, მეგობრებსა თუ მეზობლებს, რამეთუ ბადრი კეთილსინდისიერების, პატიოსნების, ერთგულების, მოყვასის სიყვარულისა და კაცურ-კაცობის იმიჯის თავაწეულად მატარებელი გახლდათ.

არაერთ პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობისას, იგი თავისი უზადო პროფესიონალიზმით დასახული ამოცანების მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, სხვებისათვის სანიმუშო მაგალითის მიმცემი გახლდათ. უაღრესად განსწავლულსა და ერუდირებულს საოცარი ხალასი იუმორი ძალზედ უხდებოდა.

ერთი წელია რაც ბატონმა ბადრიმ მარადიულ სასუფეველში დაიდო ბინა, ერთი წელია ცრემლი არ შეშრობია მისი ოჯახის წევრებს. ყველასათვის მტკივნეული გახდა ბადრის გარეშე ცხოვრება-იგი ხომ გვერდში მდგომი, მოსიყვარულე და იმედის მიმცემი პიროვნება იყო.

ბადრი, სამსახურში სადაც შენ მუშაობდი, სულ შენი და შენი გარდაცვლილი თანამშრომლის და მეგობრის, ელგუჯა ხალვაშის ხსენებაა.. სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას სულ ვფიქრდებით, შენ რა კუთხით და როგორ მიუდგებოდი ამათუიმ საკითხების გადაწყვეტას.

გვიყვარხარ, გვტკივა უშენობა...

იარა, რომელიც შენი წასვლით დაგვიტოვე არასოდეს ამოივსება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული....

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო სამსახური

ზვიად ბერიძის ნათელ ხსოვნას



ჩვენო ზვიად!

გასრულდა ერთი სევდიანი, უსაშველოდ ტკივილიანი, ნაღვლით, ბურუსით მოცული წელი, რაც ჩვენს საახლობლოს, ოჯახს, სანათესაოს მოწყდი, როგორც ჩამქრალი ვარსკვლავი და ზეციურ საქართველოში დაივანა შენმა ტანჯულმა სულმა.

დღეები მიდიან. ჩვენ კი, შენს სისხლსა და ხორცს, მარადიულად პასუხგაუცემელი დაგვრჩა შენთან მიმართებით დასმული ტკივილით სავსე კითხვა: რატომ?

ზვიად! მთელი ეს წელი და შემდგომი წლებიც ჩვენს მოგონებებში, ყოველდღიურობაში ჩასახლდი, მკვიდრად დაიდე ბინა. უდიდესი სინანულით ვიგონებთ შენს კეთილშობილურ სახეზე დაფენილ შემწყნარებლურ ღიმილს, შენს მოზომილ, მსუბუქ მიხვრა-მოხვრას, ოჯახური ტრადიციებისადმი ერთგულებას და ვასკვნით: ჩვენი შინაგანი ნათესაური კავშირი იდუმალია, გაუწყვეტელია, მკვიდრად ფესვგადგმულია. შენ ჩვენი ხარ, ჩვენს შორის ხარ და ეს სამარადისოდ ასე იქნება. ვერ შევეგუებით უშენობას, რადგან ჩვენი მარადიული ტკივილი ხარ.

მადლობა იმისათვის, რომ არსებობდი და მთელი ორმოცი წლის მანძილზე ათბობდი ჩვენს გულებს, აწონაწორებდი ურთიერთობებს.

ზვიად! ვლოცულობთ შენი კეთილშობილი სულის მარადიულობისათვის. გვიყვარხარ!!! ვეფერებით შენს საფლავს.

შენი ბიძაშვილები **ქეთინო და მამუკა ნაცვალაძეები**

ახლობლებთან ერთად.

კაცობის ეტალონი – თამაზ მოსეშვილი

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო საყვარელო სიძევ. 30 ოქტომბერი ხომ შენი დაბადების დღეა – 62 წელი შეგისრულდებოდა. ამირიდან ზეციურ საქართველოში ღმერთმა მოგცეს საუკუნო ხსენება. ალბათ, დამიჯერებ, რომ გული ძალიან მტკივა. ამასთან, კიდეც მრცხვენია, რომ მე, 85 წელს მიღწეული კაცი, შენზე წარსულში ვლაპარაკობ.

ძალიან უბრალო და თავმდაბალი იყავი, მორიდებული, მოკრძალებული. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მრავალი წელი ნაყოფიერად მოღვაწეობდი პედაგოგიურ სარბიელზე სკოლებში, ასევე წარმატებული იყავი სპორტში, განსაკუთრებით სათხილამურო სპორტში. როცა სპორტის ოსტატის წოდებაზე წარგადგინეს, უარი თქვი, საამისო ჯერ არაფერი გამიკეთებიაო. ვის შეეძლო ეს ეთქვა თუ არა შენნაირ ვაჟკაცებს.

სიკვდილის შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მოგანიჭეს.

დიდი დამსახურება გქონდა, როგორც აღვნიშნე, სპორტში და განა მარტო სპორტით შეაყვარე ყველას თავი. პიროვნულადაც მომხიბლველი და ლამაზი იყავი არა მარტო ბაკურიანში, არამედ ჩვენთანაც, ბაილეთში, რაც ახლაც ჩანს ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ბოლოს მანც ისე დარჩა, რომ დიდი ოჯახური ტრავმა განიცადე, რასაც ვერ გაუძლო სხვისი გულის სიკეთისათვის მებრძოლმა შენმა გულმა და სამუდამოდ დაგვტოვე. დატოვე შენი საამყო ოჯახი – მეუღლე ნანა, შვილები – ნინო, თამარი, ვახო, რომლებიც არასდროს შეარცხვენენ და ამაყად გაჰყვებიან შენ მიერ მართლაც ამაყად განვლილ გზას...

„სიკვდილი ქრთამს ვერ აიღებს, ოქროს, ვერცხლს და რვალებსა, არას დაგიდებს ხვეწნასა, არავის შეიბრალებსა“ (დ. გურამიშვილი).

მართლაც არ დაგინდო სიკვდილმა, ჩემო საყვარელო თამაზ. მენატრება შენი სტუმრობა ბაილეთში. უცებ შემოაღებდი კარებს და სიურპრიზს მიწყობდი. სამწუხაროდ, ამას ვერასდროს მოვესწრები. მაგრამ, სანამ ცოცხალი ვარ, არასდროს დაგივიწყებ. უსაშველოდ მიყვარდი და მუდამ მეყვარები.

შენი უფროსი „ძმა“ და მეგობარი, სიმპარი **ამირანი.**

1 ნოემბერი, 2016 წელი.

სიმონ ახალაძე



ერთი წელიწადი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. წახვედი და ყველას უზომოდ გვატკინე გული. ცხრაშვილიან ოჯახში აღიზარდე... თვითონაც 3 შვილის მამა, 5 შვილიშვილისა და 1 შვილთაშვილის მოსიყვარულე ბაბუა იყავი!.. ლიტონი გამოთქმა ყოფილა, დრო ყველაფრის მკურნალიაო... კვლავაც გაუსაძლისად გვენატრები ყველას, - შენს ერთგულ მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს...

მეუღლე რუსუდან ახალაძე, შვილები თამუნა, ინგა, გულო, შვილიშვილელები და შვილთაშვილი.

ქ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი

ტრენინგზე ამერიკელ მოხალისე ფატიმა ჩაუდრთან ერთად

ანსამბლი „ვახტანგური“

ანსამბლი „შვიდკაცა“

საქველმოქმედო ასოსიაცია „გურიაში“

კულტურის ცენტრის მუშაობის მიზანია კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა. არსებული კულტურული რესურსის დაცვა და მის საფუძველზე ახლის შექმნა-განვითარება; ხალხური რეწვის ნიმუშების მოძიება-აღრიცხვა; სახალხო მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა.

სამუსიკო, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება, შესწავლა, ეროვნული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია.;

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გასვლითი კულტურული ღონისძიებების მოწყობა.; სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვა.; ბავშვთა და ახალგაზრდული ტურიზმის ხელშეწყობა.

მოზარდთა ინტერესების შესაბამისი წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნა.; ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებითი და დავენება-გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება.;

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა.

ცენტრში ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფორტეპიანოს, ლიტერატურის, ინგლისურის, მათემატიკის, ხატვის, საესტრადო, თეატრალური, ქორეოგრაფიული (ქართული ხალხური და თანამედროვე ცეკვები) წრეები. საგალობელთა სტუდია, ფოლკლორული ანსამბლები „შვიდკაცა“ და „ვახტანგური“, საეტრადო ანსამბლები - „ვაჟთა ტრიო“, კვარტეტი „ჰარმონია“, კვარტეტი „გამა“. ასევე ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ედელვაისი“,ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „კრიმანჭული“, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „დილა, საესტრადო ჯგუფი „შარმი“ და ხალხურ საკრავთა ანსამბლი „მარულა“. წარმოდგენილი ანსამბლები წარმატებით მონაწილეობენ ადგილობრივ ღონისძიებებსა და საერთაშორისო ფესტივალებში. მრავალგის გამარჯვებული და გრანპრის მფლობელი ანსამბლებია „ედელვაისი“, „მარულა“„კრიმანჭული“ .

კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრთან არასებულ წრეებში, სადაც სწავლება უფასოა, წელს 250 ახალი მოსწავლე ჩაირიცხა, ცენტრში სამუშაო ვიზიტით იმყოფება მშიდობის კორპუსის მოხალისე ფატიმა ჩაუდრი.

მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა ერთობლივ პროექტზე. კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი კვლავ აქტიურად აგრძელებს თავის შემოქმედებით საქმინობას და არაერთ სანტერესო შემოთავაზებას გვპირდება.

დ

თეატრალური სტუდიის წარმოდგენაზე

„წითელქუდას“ ზღაპარი

ხალხურ საკრავთა წრე „მარულას“ მეცადინეობაზე

ანსამბლი „აბჯარი“ ხანდაზმულთა სახლში

7 დღის ამინდის პროგნოზი

7 ნოემბერი, ორშაბათი	8 ნოემბერი, სამშაბათი	9 ნოემბერი, ოთხშაბათი	10 ნოემბერი, ხუთშაბათი	11 ნოემბერი, პარასკევი	12 ნოემბერი, შაბათი	13 ნოემბერი, კვირა
მზე, ღრუბელი +9+18	მზე, ღრუბელი +9+18	მზე, ღრუბელი +11+21	მზე, ღრუბელი +9+23	მზე, +11+18	მზე, ღრუბელი +12+18	მზე, ღრუბელი +6+18